ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

კ. ბ. ადვოკატ ა. ბ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: კ. ბ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ნ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.01.2012

საჩივრის რეგისტრაციის №003/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 16 იანვარს კ. ბ.-მ მომართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ა. ბ.-ს ადმინისტრაციულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით დაუკავშირდა 2011 წლის 01 ივნისს და იმავე დღეს გაუფორმა რწმუნებულება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ა. ბ. ჰპირდებოდა, რომ უძრავ ქონებას დაადებდა ყადაღას და მის ინტერესებს წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოში. განმცხადებელმა ადვოკატს თავდაპირველად ჰონორარის სახით გადაურიცხა 500 ლარი, ხოლო სასამართლოს მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მიღების შემდეგ იმავე წლის აგვისტოში, 250 ლარი გადასცა ხელზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამის შემდეგ ადვოკატსა და მას შორის კავშირი არ ყოფილა, ა. ბ. არ პასუხობდა მის ზარებს და ბოლოს საერთოდ გათიშა ტელეფონი. საჩივრის ავტორმა მოგვიანებით შეიტყო, რომ მისი სახლი, რომელიც მდებარეობს ზ. ვ.-ის დასახლება, №XX-ში გადავიდა იპოთეკართა საკუთრებაში 2011 წლის 13 სექტემბერს და გაიყიდა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატის გულგრილობისა და უმოქმედობის შედეგად დაკარგა ბინა.

1.4 საჩივრის ავტორთან და მის წარმომადგენელთან, ნ. მ.-თან, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2012 წლის 03 თებერვალს, რა დროსაც კ. ბ.-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების თაობაზე ზეპირსიტყვიერი შეთანხმების შემდეგ გადასცეს 500 ლარი, ხოლო ამის შემდეგ ადვოკატს პირადად კლიენტმა გადასცა საჩივარზე სასამართლოს განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად სახელმწიფო ბაჟის თანხა, სულ 250 ლარი.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ა. ბ.-ს არ აქვს კლიენტთან კომუნიკაცია. საჩივრის ავტორმა, როგორც მოგვიანებით გაარკვია, ადვოკატს არ გადაუხდია ხარვეზის შევსების მიზნით სახელმწიფო ბაჟის თანხა, რის გამოც კ. ბ.-ის საქმე სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ბოლოს დეკემბრის შუა რიცხვებში ესაუბრა ადვოკატ ა. ბ.-ს მისი კლიენტის სახელით და მოსთხოვა საბუთების დაბრუნება, რის შემდეგაც ადვოკატმა გათიშა ტელეფონი და კლიენტი და მისი წარმომადგენელი სხვა გზით ვერ უკავშირდებიან მას.

1.7 მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 14 ივნისს, რა დროსაც საჩივრის ავტორი დაეთანხმა მის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე გადმოცემულ პოზიციას.

1.8 ეთიკის კომისიის სხდომა შედგა 2012 წლის 02 ივლისს, რომელზეც საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადვოკატის განმარტება სახელმწიფო ბაჟის თანხის, 150 ლარის, მეორე საქმისთვის მიღებულ ჰონორარად მიჩნევის შესახებ მისთვის მოულოდნელია, ვინაიდან ამ საკითხზე ადვოკატს მასთან არ უსაუბრია. კლიენტმა ადვოკატს მეორე საქმის წარმოების დაწყებაც სთხოვა, რომ საპროცესო ვადები არ გასულიყო და კონკრეტულ პირობებზე მოგვიანებით უნდა შეთანხმებულიყვნენ, მეორე საქმეზე მომსახურების საზღაურის გადახდის საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატს შეეძლო კლიენტთან დაკავშირება, რაც არ მომხდარა.

1.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, კ. ბ.-მ პირველ ადვოკატს დასაბუთებული ეჭვების გამო შეუწყვიტა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და გამოართვა 700 გვერდიანი

საქმის მასალები, რომელიც ა. ბ.-ს საქმეზე სასაუბროდ შეხვედრისას გადასცეს მან და ბ.-მ, ასევე მათ ადვოკატს დაწვრილებით მოუყვნენ საქმის გარემოებებს, თუ რა შეიძლებოდა მოცემულ საქმეში ხელჩასაჭიდი ყოფილიყო. ადვოკატს კლიენტმა თანხა ორ ნაწილად, დროის მცირე შუალედის სხვაობით გადაუხადა. განმცხადებელის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ კ. ბ. საბურთალოზე ორსართულიან სახლს კარგავდა, ახალი ადვოკატი აიყვანა ა. ბ.-ის სახით და ამ უკანასკნელის განმარტება, რომ კლიენტს ადვოკატზე გაცემული რწმუნებულება ერთი თვე სახლში ედო სრულიად დაუსაბუთებელია.

1.10 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც მათ იურიდიული მომსახურებისათვის ა. ბ.-ს მიმართეს, ამ საქმეზე ბ.-ის ყოფილ ადვოკატს რ. ხ.-ს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ჯერ არ ჰქონდა გაშვებული. კ. ბ.-ს ა. ბ.-მ პირადად დაურეკა და აცნობა, რომ რ. ხ.-ს ჰქონდა გადაწყვეტილება ჩაბარებული, ვინაიდან მასთან მინდობილობა გაუქმებული არ ჰქონდა კ. ბ.-ს. კ.ბ.-მ ჰკითხა ადვოკატს, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა, ა. ბ.-მ უპასუხა, რომ პრობლემა არ იყო და თავადაც აიღებდა გადაწყვეტილებას.

1.11 საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ნ. მ. აღნიშნავს, რომ კ. ბ.-ის საქმეზე ადვოკატ ა. ბ.-ს თანხა, რწმუნებულება და საქმის მასალები კ. ბ.-მ და ნ. მ.-მ ჯერ კიდევ მანამდე გადასცეს, სანამ რ. ხ. სასამართლო გადაწყვეტილების ჩაიბარებდა.

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ა. ბ.-ს არასდროს უთქვამს მათთვის, რომ საქმეზე ვადები გაშვებული იყო და საქმე არ იყო პერსპექტიული. მათ იმ საფუძვლით გადასცეს საქმე ა. ბ.-ს, რომ ადვოკატი გასაჩივრების ვადაში ეტეოდა და კლიენტის სააპელაციო საჩივარს დროულად წარადგენდა სასამართლოში. ადვოკატს ვადებთან დაკავშირებით მათთვის არაფერი განუმარტავს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატი ა. ბ. არ გამოცხადდა 2012 წლის 03 თებერვალს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრებაზე და 09 თებერვალს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა, რომლის თანახმად, ის განმცხადებელს და მის წარმომადგენელს შეხვდა 2011 წლის 30 მაისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში. მათ სარჩელი ჰქონდათ შეტანილი ადმინისტრაციულ კოლეგიაში, საქმეზე მთავარი სხდომა ჩანიშნული იყო 31 მაისს და სურდათ სხდომის გადადება. საჩივრის ავტორმა ადვოკატთან საუბრისას სხდომის გადადების საფუძვლად დაასახელა ავადმყოფობა და ადვოკატს წარუდგინა სამედიცინო დასკვნები, ასევე გამოთქვა პრეტენზიები არსებული ადვოკატის მიმართ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი დაეხმარა საჩივრის ავტორს სხდომის გადადების თაობაზე განცხადების დაწერასა და ჩაბარებაში. მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მათი ადვოკატი, რ. ხ. და მას სთხოვეს ნ. მ.-მ და კ. ბ.-მ ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვა. ადვოკატი არ დათანხმდა საჩივრის ავტორის შემოთავაზებას, ურჩია არსებულ ადვოკატთან ურთიერთობა გაერკვიათ, დალოდებოდნენ სხდომის გადადებას და ასევე უთხრა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებდა. საჩივრის ავტორმა და მისმა წარმომადგენელმა გამოართვეს ადვოკატს კოორდინატები და დაშორდნენ ერთმანეთს. საჩივრის ავტორი წარმომადგენელთან ერთად, მეორე დღეს დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მათი თხოვნა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. ა. ბ.-ს კ. ბ.-მ და მისმა წარმომადგენელმა - ნ. მ.-მ შესთავაზეს კ. ბ.-ის ინტერესების დაცვა. ადვოკატი დათანხმდა შემოთავაზებას და უთხრა, რომ გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ დაკავშირებოდნენ მას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 27 ივნისს მას დაუკავშირდა ნ. მ., უთხრა, რომ რწმუნებულება ა. ბ.-ის სახელზე მზად ჰქონდა და შეხვედრა სთხოვა. შეხვედრისას გაირკვა, რომ კ. ბ.-ს სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარებული არ ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, ის დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, უთხრა, რომ საქმეში ჩაერთო და სთხოვა გადაწყვეტილების ჩაბარება. მოსამართლის

თანაშემწემ უთხრა, რომ გადაწყვეტილება უკვე გადაგზავნილი იყო და 2011 წლის 17 ივნისს ჩაბარდა ადვოკატ რ. ხ.-ს (კ. ბ.-ის ყოფილ ადვოკატს).

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან უთხრა მხარეს, რომ გადაწყვეტილება გამოერთმიათ ადვოკატ რ. ხ.-ისთვის და გაასაჩივრებდა. კ. ბ.-მ და მისმა წარმომადგენელმა - ნ. მ.-მ ვერ შეძლეს სასამართლო გადაწყვეტილების მოტანა, ხოლო ა. ბ.-ის შეტყობინებები მოსამართლის თანაშემწის მხრიდან უყურადღებოდ რჩებოდა იმ საფუძვლით, რომ გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარებული ჰქონდა. ადვოკატის განმარტებით, იგი უხსნიდა თანაშემწეს, რომ კ. ბ.-ს ადვოკატ რ. ხ.-სთან გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა, ის ახორციელებდა მისი ინტერესების დაცვას, თუმცა, თანაშემწე გადაწყვეტილების გადაცემაზე უარს აცხადებდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2011 წელს 07 ივლისს მოსამართლეს მიმართა განცხადებით საქმის მასალების გაცნობისა და გადაღების მიზნით. ადვოკატი ა. ბ. საქმის მასალებს 2011 წლის 11 ივლისს გაეცნო და იმავე დღეს ჩაიბარა სასამართლო გადაწყვეტილება. რამდენიმე დღეში მას კ. ბ.-მ და ნ. მ.-მ მიუტანეს საქმის მასალები, დაახლოებით 700 ფურცელი, რომლის გაცნობას მოანდომა რამდენიმე დღე, მოამზადა სააპელაციო საჩივარი და სასამართლოში შეიტანა 2011 წლის 22 ივლისს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინებით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი გასაჩივრების საპროცესო ვადის გაშვების საფუძვლით. ადვოკატის განცხადებით, გაშვებული იყო გასაჩივრების ვადა, ვინაიდან 2011 წლის 17 ივნისს ყოფილი ადვოკატისათვის რ. ხ.-ისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრებულიყო 2011 წლის 30 ივნისის ჩათვლით. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად მისი არაერთი მოთხოვნისა ტელეფონით, როგორც კ. ბ.-ის, ასევე ნ. მ.-ის მიმართ, ვერ მოხერხდა რ. ხ.-ისთვის გადაწყვეტილების გამორთმევა. ადვოკატის განცხადებით, კ. ბ. არ პასუხობდა ტელეფონს, ორჯერ თუ ესაუბრა, ბოლოს 2012 წლის იანვრის დასაწყისში, სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა ადვოკატს და დაემუქრა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მას მართლაც გადასცეს მისი მოთხოვნით სახელმწიფო ბაჟის თანხა 150 ლარი, მაგრამ დიდი დაგვიანებით და არც მისი გადახდა გახდა საჭირო, ვინაიდან საჩივარი განუხილველი დარჩა სულ სხვა მიზეზით და არა ბაჟის გადაუხდელობის გამო. ადვოკატის განცხადებით, ეს თანხა მასთან ინახება და ნებისმიერ დროს შეუძლია ადვოკატს დაუბრუნოს მის გადამცემ პირს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც მიიღო განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე, ვინაიდან არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა - 50 ლარი. ადვოკატის მითითებით, ბაჟის გადახდა სულ პრობლემებს უკავშირდებოდა. ადვოკატის განცხადებით, განჩინება ჩაბარდა მას 2011 წლის 03 ოქტომბერს. ხარვეზის აღმოფხვრის ვადას წარმოადგენდა 10 დღე. იმავე დღეს დაუკავშირდა ნ. მ.-ს და სთხოვა თანხის გადახდა. ნ. მ.-მ 2011 წლის 28 ოქტომბერს მოუტანა 51 ლარი. ადვოკატმა ნ. მ.-ს განუმარტა, რომ ხარვეზის შევსების ვადა გასული იყო და მის გადახდას აზრი არ ჰქონდა. როგორც შემდეგ საქმის მასალებიდან შეიტყო, უზენაეს სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბერს კვლავ გაუგზავნია ხარვეზის განჩინება კ. ბ.-ისთვის, რომელიც ჩაიბარა მისმა მამამ, მაგრამ ხარვეზი არ იქნა შევსებული. ამის გამო ადვოკატის კერძო საჩივარი განუხილველი დარჩა, რის შესახებაც მას ეცნობა 2011 წლის 28 ნოემბერს.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მას ნ. მ.-თან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ ამ უკანასკნელმა სთხოვა თავდაპირველად ა. ბ.-ს წარმომადგენლობა გაეწია კ. ბ.-ისათვის ადმინისტრაციულ დავაზე, რომელიც ეხებოდა ლეგალიზაციის კომისიის სხდომის ოქმის გასაჩივრებას, ბ.-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შესახებ. ადვოკატმა მოამზადა და 2011 წლის 14 ნოემბერს სასამართლოში შეიტანა სარჩელი ქ.თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 28 ივლისის №264 ოქმისა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობის

მოთხოვნით. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განჩინებით დაადგინა ხარვეზი, რომელიც გაეგზავნა კ. ბ.-ს რამდენჯერმე, მაგრამ საჩივრის ავტორს განჩინება ვერ ჩაბარდა და განჩინების ჩაუბარებლობის გამო, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი არასერიოზულად ეკიდებოდა საქმისწარმოებასა და საქმის წარმატებით დასრულებას. ადვოკატის განმარტებით, ის როგორც პრაქტიკოსი იურისტი არც იყო დარწმუნებული, რომ კ. ბ.-ის რომელიმე საჩივარი დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ მას, თავის მხრივ, არაფერი დაუკლია საქმის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ დამთავრებისთვის. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმე გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია 2011 წლის 24 ნოემბერს, ხოლო საჯარო რეესტრში მოწინააღმდეგეებმა ბინის (სახლის) რეგისტრაცია მოახდინეს 2011 წლის 13 სექტემბერს.

2.10 განმცხადებლის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი მას ემალება და არ აძლევს საქმის მასალებს, ადვოკატი ა. ბ. აღნიშნავს, რომ კ. ბ. სულ ორჯერ ჰყავს ნანახი, ისიც შეხვედრის პირველ ორ დღეს და ტელეფონზე სულ ორჯერ ელაპარაკა, ბოლოს კ. ბ.-მ დაურეკა მას და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ადვოკატის განმარტებით, ის საქმის მასალებს (700 ფურცელი) სხდომაზე წარმოადგენს და ყოფილი კლიენტი შესძლებს მათ დაბრუნებას. ადვოკატის განმარტებით, დაგვიანებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 200 (ორასი) ლარი (თავდაპირველად მიღებული 150 და შემდეგ მიღებული 50 ლარი) მასთან ინახება და ნებისმიერ დროს შეუძლია დაუბრუნოს ნ. მ.-ს.

2.11 მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 14 ივნისს, რომელზეც ადვოკატმა აღნიშნა, რომ მან არ გადაიხადა უზენაესი სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი იმ 150 ლარიდან, რომელიც მას მიღებული ჰქონდა, ვინაიდან აღნიშნული თანხა ჩათვალა მეორე ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ ჰონორარად, რაც შეთანხმებული იყო კლიენტთან.

2.12 ადვოკატმა 2012 წლის 15 ივნისს წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტავს, რომ ვინაიდან მან კ. ბ.-თან შეთანხმებისამებრ, მეორე ადმინისტრაციულ საქმეს მოჰკიდა ხელი (ლეგალიზაციის აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით), მას ჰონორარის სახით მოსთხოვა 200 ლარი, ამაზე კალიენტმა ადვოკატს უთხრა, რომ ვინაიდან ბაჟის თანხა ვერ გამოიყენეს, ჰონორარის სახით ის თანხა გამოეყენებინა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მან 2012 წლის მარტის თვეში საჭიროდ მიიჩნია და სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხა 200 ლარი საბუთებთან ერთად დაუბრუნა კ. ბ.-ს, თუმცა, არ იყო ვალდებული.

2.14 ეთიკის კომისიის სხდომა შედგა 2012 წლის 02 ივლისს, რა დროსაც ადვოკატმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საჩივრის დაუშვებლობის საფუძვლად მითითებულია არა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, არამედ გასაჩივრების ვადის გაშვება, ვინაიდან მას რწმუნებულება სანოტარო ფორმით გაცემიდან, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გადასცეს. საქმე იყო 700 გვერდიანი, მას სააპელაციო საჩივრის მომზადებამდე შესწავლა უნდოდა. ა. ბ.-ის განმარტებით, როდესაც ჩაბარდა გადაწყვეტილება, მოამზადა აპელაცია და სასამართლოში ჩააბარა კანონით დადგენილ ვადაში.

2.15 ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების გაცნობისას, მან ნახა, რომ რ. ხ.-ს გადაწყვეტილება 17 ივნისს ჰქონდა ჩაბარებული. ამის გამო, ის სისტემატიურად ახსენებდა კ. ბ.-სა და მის წარმომადგენელს - ნ. მ.-ს, რომ შეხვედროდნენ რ. ხ.-ს და გამოერთმიათ გადაწყვეტილება, ვინაიდან ა. ბ.-ს გადაწყვეტილებას არ აძლევდა სასამართლო, იმ მოტივით, რომ მხარეს უკვე ჩაბარებულო ჰქონდა იგი. სააპელაციო სასამართლომ კ. ბ.-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა, ვინაიდან რ. ხ.-მ ჩაიბარა გადაწყვეტილება, მაგრამ მან არ შეასრულა თავისი ფუნქცია და არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი დადგენილ ვადაში. მოცემულ საქმეზე ხარვეზის განჩინება სასამართლომ კ. ბ.-ის ოჯახს გაუგზავნა, რაც მის მამას ჩაბარდა და მისთვის უცნობი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების შესახებ, ვინაიდან მათ არ აცნობეს ამის შესახებ. ადვოკატი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მოცემულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურებისას ხარვეზები ჰქონდა დაშვებული,

მაგრამ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება მისი ბრალეული ქმედების შედეგი არ არის. ა. ბ. აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ჩაბარდა განმცხადებელთა ყოფილ ადვოკატს და კ. ბ.-ს შეუძლია პასუხი რ. ხ.-ს მოსთხოვოს, ხოლო მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის მომზადება.

2.16 ადვოკატის განმარტებით, მან აცნობა კლიენტს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა გასული იყო.

2.17 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა, ვინაიდან მისი შეფასებით პროცესში ჩართვისას გასაჩივრების ვადა არ ჰქონდა დარღვეული. უზენაესი სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის საფუძველი ბაჟის გადაუხდელობა იყო, 50 ლარი იყო გადასახდელი. როდესაც ადვოკატი ა. ბ. ქალბატონ ნ. მ.-ს (კ. ბ.-ის წარმომადგენელი) დაუკავშირდა, მან ერთი კვირის დაგვიანებით გადასცა თანხა.

2.18 ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა 150 ლარი მისცა და სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით. შემდეგ ბაჟი დაიბრუნა და ისევ კლიენტს გადასცა.

2.19 ადვოკატის განმარტებით, იმ დროს, როდესაც 50 ლარი იყო უზენაეს სასამართლოში გადასახდელი ბაჟის სახით, 150 ლარი ჯერ არ ჰქონდა დაბრუნებული კლიენტისათვის

2.20 ადვოკატის განცხადებით, შესაძლებელია ვადა გაშვებული იყო, მაგრამ საქმის მასალების გაცნობისას არ ფიქრობდა, რომ ვადა გაშვებული იყო. ა. ბ. განმარტავს, რომ როდესაც სასამართლომ დაუშვა საქმის მასალების გასაცნობად, იქიდან ითვლიდა ვადას. ის არ ეთანხმება, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთებას მის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევის შესახებ, რის გამოც კერძო საჩივარი შეიტანა.

2.21 ადვოკატის განმარტებით, მისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული 150 ლარი მის ჰონორარად მიიჩნია, ვინაიდან კ. ბ.-ის წარმომადგენლის თხოვნით, მეორე საქმესაც აწარმოებდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

2.22 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 01 ივნისს, მაგრამ რწმუნება მას პირადად დაახლოებით 26 ივნისს გადასცეს. ა. ბ. აღნიშნავს, რომ საქმეზე საპროცესო მოქმედებათა განსახორციელებლად, ესაჭიროებოდა რწმუნებულება. ორდერით ადმინისტრაციულ საქმეს ვერ აწარმოებდა.

2.23 ადვოკატის განმარტებით, საქმის პერსპექტივის შეფასებამდე, ჯერ საქმის მასალებს უნდა გასცნობოდა. საქმეს როდესაც მოკიდა ხელი, მხოლოდ განმცხადებელთა გადმოცემით მიღებული ინფორმაცია ჰქონდა, რის საფუძველზეც ვერ გააკეთებდა დასკვნებს, ხოლო იმ დროისათვის, როდესაც საქმის მასალებს გაეცნო, შეადგინა სააპელაციო საჩივარი და მზადყოფნა გამოთქვა საქმის გასაგრძელებლად, ფიქრობდა, რომ საქმე პერსპექტიული იყო.

2.24 ადვოკატის განმარტებით, როდესაც 29 ივნისს რწმუნება გადასცეს, რ. ხ.-ს არ ჰქონდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გაშვებული და სისტემატიურად ახსენებდა ბ.-ის წარმომადგენელს - ნ. მ.-ს, რომ რ. ხ.-სგან გადაწყვეტილება ან რწმუნების გაუქმების საფუძველი მოეტანათ, რათა გასაჩივრების ვადაში ჩატეულიყვნენ.

2.25 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო რ. ხ.-სთან რწმუნების გაუქმება, ვინაიდან გადაწყვეტილება 17 ივნისს რ. ხ.-ს ჰქონდა ჩაბარებული და ვადა თვის ბოლომდე იყო, კლიენტს სისტემატურად ახსნებდა, რომ მოეტანათ დოკუმენტი რწმუნების გაუქმებაზე, რათა სასამართლოსთვის წარედგინა ა. ბ.-ს და გადაწყვეტილება პირადად მას ჩაებარებინა. ადვოკატის განმარტებით, იგი ბ.-ისაგან ითხოვდა ან რწმუნების გაუქმების დოკუმენტის მოტანას ან ყოფილი ადვოკატისათვის - რ. ხ.-ისატვის ჩაბარებული სასამართლო გადაწყვეტილების გადმოცემას. ადვოკატის განმარტებით, მას მინდობილობა 29 ივნისის შემდეგ ჰქონდა ხელთ, 07 ივლისს დაწერა განცხადება სასამართლოსადმი საქმის მასალების გაცნობის თაობაზე. შაბათ–კვირა იყო, დასვენების დღე და ასე გამოვიდა.

2.26 ადვოკატის განმარტებით, ვადის დასაცავად ფორმალურად არ უცდია სააპელაციო საჩივრის წარდგენა, რომელსაც შემდეგ დააზუსტებდა.

2.27 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ნ. მ.-მ რწმუნებასთან ერთად საქმის მასალებიც გადასცა, მაგრამ საქმეში არ იყო სხდომის ოქმი, გადაწყვეტილება.

2.28 ადვოკატი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას მოითხოვდა ზეპირსიტყვიერად, მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონით ესაუბრა.

2.29 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის თაობაზე არ შესააბამება სინამდვილეს. მისი ბრალი არც ბინის დაკარგვაშია. ბინის გადაფორმება მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხდა სექტემბერში და უზენაესმა სასამართლომ ხარვეზის დადგენის განჩინება მიიღო ნოემბერში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2012 წლის 16 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ სააპელაციო საჩივარი წარადგინა საპროცესო ვადის დარღვევით, ასევე არ შეავსო კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეესრულებინა იმისათვის, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო. კერძოდ, ადვოკატს სააპელაციო საჩივარი უნდა წარედგინა საპროცესო ვადის დაცვით, ასევე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეევსო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადის დაუცველად წარდგენა, ხოლო კერძო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, რის შედეგადაც სასამართლომ კერძო საჩივარი განუხილველი დატოვა.

3.4 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ დროულად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია კერძო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობის თაობაზე, ასევე იგი არ უბრუნებდა კლიენტს საქმის მასალებს, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

3.5 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ მიაწვდიდა და სათანადოდ არ განუმარტავდა კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულს შეიძლება გამოეწვია კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგი. კლიენტი, ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისას დაიმედებული იყო და გააჩნდა კანონიერი მოლოდინი, რომ ადვოკატი საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. შესაბამისად, თუ ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და ჯეროვნად არ განუმარტა მას საპროცესო უფლებები, შესაძლოა ადვოკატმა კლიენტს წაართვა შესაძლებლობა მისი სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო და არსებითად განეხილა საქმე.

3.6 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ კლიენტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისთვის გადაცემული თანხა ადვოკატმა არ განათავსა საკუთარი ფულადი სახსრებისა და/ან ქონებისაგან დამოუკიდებლად, შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.

3.7 განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა კლიენტის თანხა უნდა შეინახოს საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან განცალკევებით. ადვოკატმა ა. ბ.-მ ახსნა-განმარტებაში ზოგადად მიუთითა,

რომ სახელმწიფო ბაჟის თანხა (200 ლარი), რომლის გადახდის საჭიროებაც აღარ დადგა, მასთან ინახებოდა და კლიენტს ნებიმისმიერ დროს შეეძლო დაებრუნებინა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვის წესით კვლევისას დადგინდებოდა, რომ ადვოკატს კლიენტის თანხა აღრეული ჰქონდა საკუთარ ფულად სახსრებთან, დარღვეული იქნება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 36-ე მუხლით და 2012 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ა. ბ. წარმოადგენდა კ. ბ.-ის ინტერესებს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობის მიზნით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სააპელაციო საჩივარი, ს.ფ 58-66
2. განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ 47-50
3. კერძო საჩივარი, ს.ფ 67-68
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივარში ხარვეზის მითითების შესახებ, ს.ფ 51
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ 36-38

5.1.2 ადვოკატმა ა. ბ.-მ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2011 წლის 22 ივლისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ 47-50

5.1.3 თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 29 აგვისტოს მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საპროცესო ვადის გასვლის შედეგად დაუშვებლობის გამო.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ. 47-50

5.1.4 ადვოკატმა ა. ბ.-მ 2011 წლის 20 სექტემბერს კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ. 36-38

5.1.5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დატოვებული იქნა ხარვეზზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. განჩინება კერძო საჩივრის ავტორს, კ. ბ.-ს გაეგზავნა 2011 წლის 03 ოქტომბერს. ჩაუბარებლობის გამო, განჩინება ბ.-ს განმეორებით გაეგზავნა 2011 წლის 28 ოქტომბერს. ხარვეზის მითითების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრის ავტორის მამას ჩაბარდა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ 36-38

5.1.6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი განუხილველი დარჩა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ს.ფ 36-38

5.1.7 ადვოკატი ა. ბ. წარმოადგენდა კ. ბ.-ის ინტერესებს მეორე ადმინისტრაციულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, ს.ფ 71-79
2. 2011 წლის 06 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ს.ფ. 111-114

5.1.8 ადვოკატმა ა. ბ.-მ სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით მიიღო 150 ლარი 2011 წლის ივნისში, რომლის გადახდის საჭიროება აღარ დადგა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების გამო და თანხა ადვოკატთან ინახებოდა (ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-

განმარტება, ს.ფ. 28, პირველი აბზაცი). კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით დადგინდა ხარვეზი. სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი იყო 50 ლარი. ადვოკატმა არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატმა მიიღო კერძო საჩივრის სახელმწიფო ბაჟის თანხა 2011 წლის 28 ოქტომბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა–განმარტება (ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-განმარტება, ს.ფ. 28, პირველი აბზაცი)
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქმეზე Nბს-1396-1379 (კს-11), ს.ფ 55–56

5.1.9 ადვოკატმა ა. ბ.-მ მიღებული თანხები და საქმის მასალები ნ. მ.-ს დაუბრუნა ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ, 2012 წლის მარტში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-განმარტება, ს.ფ 30
2. ადვოკატ ა. ბ.-ის 2012 წლის 15 ივნისის ახსნა-განმარტება, ს.ფ 153

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 ადვოკატ ა. ბ.-ის ქმედებამ გამოიწვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის გაშვება.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ა. ბ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ა. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების საზღაური, 01 ივნისს გაფორმებული რწმუნებულება და 700 გვერდიანი საქმის მასალები რ. ხ.-ის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებამდე გადასცეს. შესაბამისად, როდესაც ა. ბ.-ს მიმართეს, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ იყო გაშვებული. (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 167, მე–8, მე–10 აბზაცები; ს.ფ. 168, პირველი აბზაცი; ს.ფ. 169, მე–14 აბზაცი) ნ. მ.-ის განცხადებით, მას თავად ა. ბ.-მ დაურეკა და აცნობა, რომ გადაწყვეტილება რ. ხ.-ს გაეგზავნა და ჩაბარდა, ვინაიდან მასთან მინდობილობა გაუქმებული არ იყო. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა განაცხადა, რომ ის თავადაც შეძლებდა გადაწყვეტილების ჩაბარებას და პრობლემა არ შეექმნებოდათ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 170, პირველი აბზაცი).

ბ) ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 01 ივნისს გაფორმებული რწმუნებულება დაახლოებით 27 ივნისს გადასცა საქმის მასალებთან ერთად, მაგრამ საქმეში არ იყო სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 168, მე–14 აბზაცი). შეხვედრის დროს ადვოკატმა გაარკვია, რომ კ. ბ.-ს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარებული არ ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, ის დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, უთხრა, რომ საქმეში ჩაერთო და სთხოვა გადაწყვეტილების ჩაბარება. მოსამართლის თანაშემწემ უთხრა, რომ გადაწყვეტილება 2011 წლის 17 ივნისს ჩაბარდა ადვოკატ რ. ხ.-ს. ადვოკატის განცხადებით, ის მხარისაგან ითხოვდა რ. ხ.-ისათვის გადაწყვეტილების გამორთმევას, რომ მას გასაჩივრების საშუალება მისცემოდა, თუმცა მხარემ ვერ უზრუნველყო

მისთვის გადაწყვეტილების მიწოდება. ამავე დროს მოსამართლის თანაშემწის მიერ მისი შეტყობინებები უყურადღებოდ რჩებოდა იმ საფუძვლით, რომ გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლებოდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წელს 07 ივლისს მოსამართლეს მიმართა განცხადებით საქმის მასალათა გაცნობისა და გადაღების მიზნით. ადვოკატი საქმის მასალებს 2011 წლის 11 ივლისს გაეცნო და იმავე დღეს ჩაიბარა გადაწყვეტილება. ა. ბ.-ის განმარტებით, 700 ფურცლიანი საქმის გაცნობას მოანდომა რამდენიმე დღე, მოამზადა სააპელაციო საჩივარი და სასამართლოში ჩააბარა 2011 წლის 22 ივლისს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან დაიცვა გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, ვინაიდან მას გადაწყვეტილება 11 ივლისს ჩაბარდა. (ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-განმარტება, ს.ფ 25-26) ადვოკატი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ჩანს, რომ გადაწყვეტილება ჩაბარდა რ. ხ.-ს და მან არ შეასრულა ნაკისრი მოვალეობა (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 163, მე–5 აბზაცი). ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება მისი ბრალეული ქმედების შედეგი არ არის. გადაწყვეტილება ჩაბარდა განმცხადებელთა ყოფილ ადვოკატს და მათ პასუხი იმ ადვოკატისთვის უნდა მოეთხოვათ. მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის მომზადება. (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 164, პირველი აბზაცი)

გ) ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ საჩივრის ავტორი უკმაყოფილო იყო ადვოკატ რ. ხ.-ის იურიდიული მომსახურებით და ამის გამო მიმართა ადვოკატ ა. ბ.-ს საადვოკატო მომსახურებისთვის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის რწუნებულება გაფორმდა 01 ივნისს, ჰონორარი 300 ლარი ადვოკატს საბანკო ანგარიშზე ჩაერცხა 01 ივნისს, ხოლო მეორე ნაწილი 200 ლარი 03 ივნისს. რამდენიმე დღეში ადვოკატს გადაეცა სახელმწიფო ბაჟის თანხა - 150 ლარი. მოცემული მოქმედებები ადასტურებს, რომ საჩივრის ავტორს გააჩნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული ინტერესი და მან, როგორც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარემ, განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა მხარეთა ახსნა–განმარტებებისა და საქმეში არსებული რწმუნებულებისა და განჩინების მიხედვით და დაასკვნა, რომ ადვოკატი ა. ბ. ჩაერთო საქმეში სააპელაციო სასამართლოში კ. ბ.-ის ინტერესების წარმოდგენის მიზნით იმ დროს, როდესაც მისთვის ცნობილი იყო, რომ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა სასამართლოს მიერ მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე დაიწყო და მის გამოანგარიშებას კანონის საფუძველზე განსაკუთრებული მნიშვნელობას ჰქონდა; ადვოკატ ა. ბ.-ის სახელზე 01 ივნისს კ. ბ.-მ გასცა რწმუნებულება, იმავე დღეს ადვოკატის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა რა საადვოკატო მომსახურების საფასური, მიიღო რა საქმის მასალები, სახელმწიფო ბაჟის თანხა, ადვოკატი ვალდებული იყო კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განეხორციელებინა ყველა საპროცესო მოქმედება სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადის დაცვით წარდგენის მიზნით. კ. ბ.-ის მიერ ადვოკატ ა. ბ.-ისათვის მიმართვისას, ადვოკატ რ. ხ.-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება ჩაბარებული. ადვოკატის მიერ კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა გულისხმობს არა ფორმალურ და ილუზორულ დაცვას, არამედ ადვოკატის მიერ მოსამართლის თანაშემწის დროულად წერილობით ინფორმირებას საქმეში ჩართვის თაობაზე, შესაბამისი რწმუნებულების დართვით; ასევე, განცხადებაში გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნის დასაბუთებას იმ ვითარებაში, როდესაც მხარეს (კლიენტის ყოფილ ადვოკატს) ჩაბარებული აქვს გადაწყვეტილება, რაც სასამართლოსათვის კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გამოთვლას, ცხადია, ვერ შეცვლიდა, თუმცა, ადვოკატზე დამოკიდებული ყველა ქმედების განხორციელება, კლიენტის ინტერესებს მოემსახურებოდა, სააპელაციო გასაჩივრების დარჩენილი ვადისა და სხვა მოსალოდნელი რისკების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებით, მათ შორის, ყოფილი ადვოკატის ქმედების გამო, სააპელაციო საჩივრის ვადის გაშვების შესახებ თუ დარჩენილ თუნდაც მცირე ვადაში, კლიენტის ინტერესებიდან

გამომდინარე, სასწრაფო კანონიერი საშუალებების გამოყენებით, სააპელაციო საჩივრის მოსამზადებლად. ადვოკატის განმარტებით, ის სატელეფონო საშუალებით უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს, ზეპირსიტყვიერად ითხოვდა გადაწყვეტილების ჩაბარებას და სასამართლოს საქმის მასალათა გაცნობის მოთხოვნით 07 ივლისს მიმართა (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 168, მე–12 აბზაცი). ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, რომლის თანახმად, მან 27 ივნისს რწმუნებულების მიღებისას გაარკვია, რომ მის კლიენტს გადაწყვეტილება ჩაბარებული არ ჰქონდა და მოსამართლის თანაშემწეს თავად დაუკავშირდა, რომელმაც აცნობა, რომ 17 ივნისს ჩაბარდა გადაწყვეტილება ადვოკატ რ. ხ.-ს, ადვოკატის მიერ გასაჩივრების ვადის შესახებ ინფორმაციის მიღებისა დროსაც კი არ იყო გასული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. ადვოკატ ა. ბ.-ს სააპელაციო საჩივრის წარდგენა 30 ივნისის ჩათვლით შეეძლო, თუმცა 07 ივლისს, როდესაც ადვოკატმა ა. ბ.-მ სასამართლოს წერილობით მიმართა საქმის მასალათა ასლების გადაღების მოთხოვნით, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გასული იყო.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის ქმედებამ გამოიწვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორისა და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 167, მე–8, მე–10 აბზაცები; ს.ფ. 168, პირველი აბზაცი; ს.ფ. 169, მე–14 აბზაცი, ს.ფ. 170, პირველი აბზაცი).
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-განმარტება, ს.ფ 25-26; ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 163, მე–5 აბზაცი; ს.ფ. 164, პირველი აბზაცი; ს.ფ. 168, მე–12 და მე–14 აბზაცები)
3. რწმუნებულების ასლი, ს.ფ. 7-8
4. ადვოკატ ა. ბ.-ის საბარათე ანგარიშიდან ამონაწერი, ს.ფ. 178

5.2.2 ადვოკატმა ა. ბ.-მ არ განუმარტა კლიენტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობისა და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ა. ბ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. ბ.-მ განუმარტა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილი ჰქონდა და პასუხი არ ჰქონდა მიღებული. (2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 146, მე–3 აბზაცი) საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატს მათთვის არასდროს უთქვამს, რომ საქმეზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გაშვებული იყო (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 167, მე–12 აბზაცი).

ბ) ადვოკატის განმარტებით, მან აცნობა კლიენტს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა გასული იყო (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 164, მე–5 აბზაცი).

გ) ეთიკის კომისიამ სადავო გარემოების დადგენისას გაითვალისწინა ადვოკატის განმარტება, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის მიზნით საქმეში ჩართვისას, საქმის მასალების გაცნობისას არ ფიქრობდა, რომ სააპელაციო საჩივრის ვადა გაშვებული იყო; ადვოკატი, როდესაც სასამართლომ დაუშვა საქმის მასალების გასაცნობად, იქიდან აითვლიდა ვადას, რაც კერძო საჩივრის წარდგენისას

წარმოადგენდა საჩივრის დასაბუთებას; (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 165, მე–7 აბზაცი), ასევე, კომისიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის პასუხი ეთიკის კომისიის წევრის შეკითხვაზე, რომ როდესაც საქმის მასალებს გაეცნო, სააპელაციო გასაჩივრების ვადის დარღვევით შეადგინა სააპელაციო საჩივარი, მაგრამ მზადყოფნა გამოთქვა საქმის გასაგრძელებლად, ფიქრობდა, რომ საქმე პერსპექტიული იყო და (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 167, მე–2 აბზაცი) დაადგინა, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ არ განუმარტა კლიენტს, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გაშვებული იყო, ვინაიდან იმ დროს, როდესაც ადვოკატი აწარმოებდა კ. ბ.-ის საქმეს, არ მიაჩნდა, რომ საქმეზე გასული იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ არ განუმარტა კლიენტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობისა და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორისა და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება (2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 146, მე–3 აბზაცი; ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 167, მე–12 აბზაცი).
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 164, მე–5 აბზაცი; ს.ფ. 165, მე–2 და მე–7 აბზაცები)

5.2.2 ადვოკატმა ა. ბ.-მ დროულად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია კერძო საჩივრისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობის შესახებ და არ შეავსო კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა წარმომადგენელმა უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრის წარდგენისათვის გადასცა სახელმწიფო ბაჟის თანხა, 50 ლარი, მაგრამ საჩივარი განუხილველი დარჩა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო (განხილვის კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 146).

ბ) ადვოკატის განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ კერძო საჩივარზე ხარვეზი დაადგინა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით. უზენაესი სასამართლოს განჩინება ადვოკატს ჩაბარდა 03 ოქტომბერს (ადვოკატის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა–განმარტება, ს.ფ 28). ხარვეზის შევსების ვადა იყო 10 დღე. ადვოკატის განცხადებით, მან აღნიშნული აცნობა ნ. მ.-ს, მაგრამ მან თანხა ხარვეზის შევსების ვადის გასვლის შემდეგ - 2011 წლის 28 ოქტომბერს გადასცა ადვოკატს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო, რომ უზენაეს სასამართლოს კიდევ ერთი ხარვეზის განჩინება გაუგზავნია კ. ბ.-ის საცხოვრებელ ადგილას 2011 წლის 31 ოქტომბერს (ადვოკატის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა–განმარტება, ს.ფ 28).

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს დროულად მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის საქმის სასამართლო ხარჯების თაობაზე, რომ საპროცესო მოქმედების შესრულება შესაძლებელი გახდეს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბაჟის თაობაზე, ადვოკატი მას შემდეგ დაუკავშირდა ნ. მ.-ს, რაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და ხარვეზის შესავსებად განუსაზღვრა დრო, მაგრამ ნ. მ.-მ სახელმწიფო ბაჟის თანხა დაგვიანებით, 28 ოქტომებრს გადასცა ა. ბ.-ს, რის გამოც კერძო საჩივარი განუხილველი დარჩა. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ როგორც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებიდან ირკვევა, ხარვეზის შესავსებად საკასაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული 10 დღიანი საპროცესო ვადა ამოიწურა 2011 წლის 10 ნოემბერს, ვინაიდან გზავნილის ჩაუბარებლობის გამო, განჩინება კ. ბ.-ს განმეორებით გაეგზავნა 2011 წლის 28 ოქტომბერს და მის მამას ჩაბარდა 2011 წლის 31 ოქტომბერს. ეთიკის კომისია

ვერ გაიზიარებს ადვოკატ ა. ბ.-ის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის უცნობი იყო განჩინების განმეორებით გაგზავნის შესახებ, ვინაიდან ის, როგორც კ. ბ.-ის წარმომადგენელი, რომელსაც ევალებოდა კლიენტის ინტერესების საკასაციო სასამართლოში დაცვა, ვალდებული იყო, გაერკვია კერძო საჩივრის შედეგების შესახებ უზენაეს სასამართლოში, მით უმეტეს, ადვოკატმა კ. ბ.-ის წარმომადგენლისაგან - ნ. მ.-ისაგან მიიღო სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი 50 ლარი და კლიენტს შეუქმნა მოლოდინი, რომ სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდით, აღმოიფხვრებოდა ხარვეზი.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ დროულად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობის შესახებ და არ შეავსო კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 146)
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (ადვოკატის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა–განმარტება, ს.ფ 28)
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქმეზე №ბს-1396-1379 (კს-11), ს.ფ 55–56

5.2.3 მხარეთა შორის არ არსებობდა ისეთი შეთანხმება, რის საფუძველზეც ადვოკატს სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხები შეეძლო მიეჩნია ჰონორარად.

ა) საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მან ადვოკატს მოთხოვნისამებრ სახელმწიფო ბაჟის თანხა - 150 ლარი გადასცა. ადვოკატსა და კლიენტს ამ თანხის მეორე საქმის საწარმოებლად გადასახდელ ჰონორარად მიჩნევის თაობაზე არ უსაუბრიათ. ნ. მ.-მ ადვოკატ ა. ბ.-ს სთხოვა, რომ მეორე საქმის წარმოებაც დაეწყო, რათა ვადები არ ყოფილიყო გაშვებული და პირობებზე შემდეგ შეთანხმდებოდნენ. სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული თანხების მომსახურების საფასურად ჩათვლის თაობაზე ადვოკატი და კლიენტი არ შეთანხმებულან (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 170, მე–3, მე–5 აბზაცები).

ბ) ადვოკატის განმარტებით, მან მიღებული ბაჟის თანხები არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს, ვინაიდან აწარმოებდა მის მეორე საქმესაც და მიღებული სახელმწიფო ბაჟის თანხები ჰონორარად მიიჩნია მათ შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად (2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 151, მე–8, მე–10 აბზაცები; ს.ფ. 152, პირველი აბზაცი; ადვოკატ ა. ბ.-ის 2012 წლის 15 ივნისის ახსნა–განმარტება, ს.ფ. 153, პირველი აბზაცი).

გ) ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს სადავო საკითხთან დაკავშირებით, ადვოკატ ა. ბ.-ის საქმეში არსებულ განსხვავებულ ახსნა-განმარტებებზე. ადვოკატი 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა-განმარტებაში სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებულ თანხებთან დაკავშირებით განმარტავს: ,,რაც შეეხება დაგვიანებით გადახდილ სახელმწიფო ბაჟს 200 ლარი და არა 250 ლარი, როგორც მიუთითებს მომჩივანი, ჩემთან არის და როგორც მოგახსენეთ ნებისმიერ დროს შემიძლია დავუბრუნო უკან ქალბატონ ნ. მ.-ს,“ ხოლო 2012 წლის 14 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ისევე, როგორც 2012 წლის 15 ივნისს წერილობით ახსნა-განმარტებაში ადვოკატმა აღნიშნა, რომ კ. ბ.-თან შეთანხმების მიხედვით, ვინაიდან ის მეორე ადმინისტრაციულ საქმესაც აწარმოებდა და სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხები ვერ გამოიყენეს პირველ საქმეში, შესაბამისად, მას ეს თანხა ჰონორარად უნდა მიეჩნია.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა ისეთი შეთანხმება, რის საფუძველზეც ადვოკატს სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხები შეეძლო მიეჩნია ჰონორარად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორისა წარმომადგენლის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 170, მე–3, მე–5 აბზაცები).
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება (ადვოკატ ა. ბ.-ის 2012 წლის 09 თებერვლის ახსნა–განმარტება, ს.ფ. 30; 2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი, ს.ფ. 151, მე–8, მე–10 აბზაცები; ს.ფ. 152, პირველი აბზაცი; ადვოკატ ა. ბ.-ის 2012 წლის 15 ივნისის ახსნა–განმარტება, ს.ფ. 153, პირველი აბზაცი)

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები."

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა".

7.1.3 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან."

7.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

7.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად: ,,ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ანგარიშგება."

7.2 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

7.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №066/10 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს მიერ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შევსება და თუ ასეთი ხარვეზის შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვს, მაშინ კლიენტის დროული ინფორმირება ხარვეზის შევსების საჭიროების თაობაზე“.

7.4 მხარეთა ახსნა-განმარტებათა თანახმად, ადვოკატ ა. ბ.-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, ემოქმედა საჩივრის ავტორის სახელით და განეხორციელებინა კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, საჩივრის ავტორის ინტერესები დაეცვა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, გადაეხადა ან დაებრუნებინა სახელმწიფო ბაჟი.

7.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. ბ.-მ წარადგინა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაზე 22 ივლისს, მაგრამ სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა გასაჩივრების საპროცესო ვადის დაუცველობის გამო. ადვოკატმა აღნიშნული გადაწყვეტილება 2011 წლის 12 აგვისტოს კერძო საჩივრით გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი განუხილველად დატოვა, რამდენადაც კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეესრულებინა იმისათვის, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო. კერძოდ, ადვოკატს სააპელაციო საჩივარი უნდა წარედგინა საპროცესო ვადის დაცვით, ასევე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეევსო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის საპროცესო ვადის დაუცველად წარდგენა, ხოლო კერძო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, რის შედეგადაც სასამართლომ კერძო საჩივარი განუხილველი დატოვა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ ა. ბ.-ის ქმედების შედეგად სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ ადვოკატმა განახორციელა ფორმალური წარმომადგენლობა. ადვოკატ ა. ბ.-ის საადვოკატო საქმიანობის გამოცდილების გათვალისწინებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას საადვოკატო მომსახურებისთვის მიმართეს კონკრეტულად სააპელაციო საჩივრის წარდგენისა და სააპელაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კლიენტის ყოფილი ადვოკატის მიერ ჩაბარებისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლის დაწყების შესახებ, ადვოკატ ა. ბ.-ისთვის თავიდანვე ცნობილი უნდა

ყოფილიყო, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის კანონით დადგენილი საპროცესო ვადა გასული იყო.

7.7 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებათა მიხედვით, ადვოკატს რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეეძლო განეხორციელებინა საპროცესო მოქმედებები და შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, რწმუნებულებაში მითითებული უფლებამოსილების ფარგლებში ადვოკატს უფლება ჰქონდა წარედგინა სახელმწიფო ბაჟი. ამასთან, როგორც ადვოკატი აცხადებს, მას კერძო საჩივარზე ხარვეზის დადგენის დროისათვის ჰქონდა კლიენტისაგან სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზნით მიღებული თანხა, რომლის გადახდის საჭიროება აღარ დადგა სააპელაციო საჩივრის სხვა საფუძვლით განუხილველად დატოვების გამო და ეს თანხა გამოუყენებლი დარჩა ადვოკატთან, რომელიც არ დაუბრუნებია კლიენტისთვის. შესაბამისად, ადვოკატს კლიენტის ინფორმირების შემდეგ, შეეძლო აღნიშნული თანხის გამოყენება კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, მით უმეტეს კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებას ისახავდა მიზნად.

7.8 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“ ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №022/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“. ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

7.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. ბ.-მ არ განუმარტა კლიენტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობისა და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები (იხ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები, აბზაცი 5.2.2). კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, თუმცა, ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისას ჰქონდა კანონიერი მოლოდინი და იურიდიული ინტერესი, რომ ადვოკატი მის საქმეს კვალიფიციურად და

კეთილსინდისიერად აწარმოებდა. ადვოკატი ა. ბ. ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ თავად ჩაიბარა ხარვეზის შესახებ განჩინება, თუმცა, კლიენტმა საპროცესო ვადის განმავლობაში არ შეავსო ხარვეზი, კერძოდ, დროულად არ გადასცა მას სახელმწიფო ბაჟის თანხა. ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის დროული და სწორი ინფორმირების შედეგად, შესაძლოა კლიენტის ინფორმირებული გადაწყვეტილებების შედეგად, სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო და არსებითად განეხილა.

7.10 ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით 2012 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/11 განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც“. ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში იმსჯელა, თუ რა შემთხვევაში და რა პირობების დაცვით შეეძლო ადვოკატს დაეკავებინა დოკუმენტები. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ,,ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში ექცევა, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვა.“

7.11 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ა. ბ.-მ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, კლიენტს არ დაუბრუნა 700 გვერდიანი საქმის მასალები. ეს იყო არა ადვოკატის მიერ შექმნილი დოკუმენტების დაკავება, არამედ კლიენტის მიერ საქმის წარმოებამდე ადვოკატისათვის გადაცემული საქმის მასალები, რომელთა გარეშეც კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას მიმართოს სხვა ადვოკატს და გააგრძელოს თავისი ინტერესების დაცვა. ადვოკატმა ა. ბ.-მ საქმის მასალები კლიენტს მხოლოდ ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანიდან რამდენიმე კვირაში დაუბრუნა.

7.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტის თანხა უნდა შეინახოს საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან განცალკევებით. ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №004/12 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ,,კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა უფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ

კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას."

7.13 ადვოკატი ვალდებულია, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, კლიენტს ზედმიწევნით მიაწოდოს ინფორმაცია არა მარტო საქმის მომზადებისა და მსვლელობის ეტაპებზე, არამედ არ დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდნარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შემლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ა. ბ. ახსნა-განმარტებაში ზოგადად უთითებდა, რომ სახელმწიფო ბაჟის თანხა (200 ლარი), რომლის გადახდის საჭიროებაც აღარ დადგა, მასთან ინახებოდა და ნებისმიერ დროს შეეძლო კლიენტისათვის დაბრუნება. ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხები კლიენტს ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ დაუბრუნა. შესაბამისად, დარღვეულია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება.

7.14 ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება. სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით წარუდგენლობის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ ვერ იმსჯელა სადავო სამართლებრივ საკითხზე, რისი იურიდიული ინტერესიც გააჩნდა კლიენტს და რის გამოც მიმართა ადვოკატს სამართლებრივი მომსახურებისათვის. ადვოკატმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი ისე, რომ კლიენტი არ იყო ინფორმირებული საპროცესო ვადის გაშვებით სააპელაციო საჩივრის წარდგენის შესახებ. ერთის მხრივ, ადვოკატის ქმედების შედეგად კლიენტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრება შეუძლებელი გახდა, ხოლო მეორეს მხრივ, კლიენტს მიადგა მატერიალური ზიანი სასამართლო ხარჯების სახით. ადვოკატის ქმედებების შედეგად კლიენტმა შეწყვიტა ადვოკატთან ურთიერთობა, დაკარგა რა მისდამი ნდობა. აღნიშნული ქმედება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის მიმართ, ეთიკის კომისიის 2007 წლის 19 ნოემბრის 3091/11/07 გადაწყვეტილებით ,,რწმუნებაზე ხელმოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ

ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ.“ კომისიამ სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს, ასევე ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობასა და ზოგადად ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით გამსჭვალავს საზოგადოებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 35-ე მუხლით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე-13 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 39–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /დავით კაკაბაძე/

კომისიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/

კომისიის წევრი: /კახაბერ წერეთელი/

კომისიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/

კომისიის წევრი: /ცირა შუბითიძე/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კომისიის წევრი: /ლავრენტი ქავთარაძე/

კომისიის წევრი: / გიგა კვერენჩხილაძე/

კომისიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კომისიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/